№ 113
მაისის 29, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 113
მაისის 29, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი 1882 წ.
ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—2)

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფასი სრულად არ შემოუტანია, ვთხოვთ დაჩქარონ ხვედრის ფულის ემოტანა, თორემ ივნისიდან გაზეთის გაგაზავნა მოესპობათ. (5—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **გაზებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

საქალებო ინსტიტუტში

შიფრით კურს-დასრულებულს ქალს ჰსურს წაიყვანოს მოსამზადებლად ბავშვი თავის ოჯახში საგარაკოდ. ადრესი: „ივერიის“ რედაქცია. (4—4)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-ღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ნაფცი ვექილი
ლ. ს. სტალინსკი
გადავიდა ველიკოკნიაჟევსკის ქუჩაზე სახლი № 40 (4—131—1)

კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

8. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

8. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. ვ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіяна. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექციას მრავალმა ყმაწვილმა მიართვა თხოვნა მიღებისა, ხოლო ვაკანსია კი შედარებით ბევრად ნაკლებია. ამის გამო დირექცია სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეგვატყობინეთ შეიძლება: თანაბრად მივიღოთ სასწავლებელში, გამოცდის შემდეგ, როგორც ტფილისის მკვიდრთა, ისე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შვილნიი, თუ უპირატესობა უნდა მიეცეს ქალაქის მკვიდრთაო.

◆ დირექცია ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისა ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ კურსკის გუბერნიიდგან მომავალ პედაგოგებს და ყაზანიდგან—ქალაქის დედათა სასწავლებლის მოწაფეთ, სამოგზაუროთ წამოსულთ, შეუძლიანთ ტფილისში ყოფნის დროს სახელოსნო სასწავლებელში იქონიონ ბინა და აქვე სამზარეულოში აკეთებინონ საჭმელი.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მე-4 კლასის შეგირდები, რიცხვით 50-მდე სამოგზაუროდ მიდიან რუსეთს, შეივლიან მოსკოვს და იქ დაათვალიერებენ კოლომნის მანქანათა მკეთებელს ქარხანას. ამ მოგზაურობისათვის სახელოსნო სასწავლებლის დირექცია დახმარებასა სთხოვს ქალაქის გამგეობას,

◆ წელს დედათა ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 35 მოსწავლემ. ამათგან ათი ქართველია, ორი მუსულმანი, ერთი გერმანელი, ოთხი სომეხი, დანარჩენი—რუსი. დაჯილდოებულ იქმნენ: შიფრით: ვიუჰარ გაიბოვი დი მარიამ ანთაძე, ოქროს მედლით—ოლგა უსოლცევი და სვეტლანა თაიროვი, ვერცხლის მედლით—სპარსელ ი პრინცესსა ლეილა გაჯარი, მარიამ ბაუერი და ეკატირინე ვერჟაბიცკი, შვიდი ქალი—წიგნით; ამათგან ორი ქართველია—ლიდია ყუბანიშვილი და ნინო ელიაშვილი.

◆ ტფილისის სახელმწიფო პალატასა და ხაზინაში ამ ზაფხულს მეცადინეობა იქნება დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე; ფულის წარდგენა ხაზინაში შეიძლება 12 საათამდე და მიღება—1 საათამდე.

◆ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში წელს 6 ქართველმა ყმაწვილმა დაამთავრა სწავლა. მათგან ერთმა ვერცხლის მედალი მიიღო—მ. ტაბატაძემ.

◆ ახალციხის სტაროსტამ თხოვნა მიართვა ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა სეროზიანცმა შეაგროვა ახალციხის საქალაქო სამკურნალოსათვის 238 მ. 20 კ. და აქამომდე არ გამოუგზავნიაო. ტფილისის გუბერნატორმა, როგორც „კავკაზი“ იუწყება, ეს თხოვნა ხელოსანთა ახალს მოურავს გაუგზავნა და უბრძანა დაწვრილებით მომახსენე ამ საქმის გარემოებაო.

◆ კვირას, 25 მაისს, მოხდა იაფისა და უფასო სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა. შარშან საზოგადოების სასადილოში, რომელიც არმიანსკი ქუჩაბანდზეა, უსადილნია ყოველ დღე 230 ღარიბს უფასოდ და 35 კაცს მცირე ფასით 3—7 კაპეიკად, ამ რიგად წლის განმავლობაში გასულა 82690 უფასო და 11,001 მცირე ფასიანი სადილი. საზოგადოებამ გადასწყვიტა იყიდოს ის სახლი, სადაც ეხლა სასადილოა და გადასდო ამისთვის ამხანად 3,000 მანეთი.

◆ სომხური გაზეთები იუწყებიან, რომ რომის პაპი დათანხმებულა სომეხ-ფრანგთა ეპისკოპოზის კათედრა დაწესდეს ტფილისში.

◆ ტფილისის სამუსიკო სკოლა ამ დღეებში გადადის ახალ სადგომში, გრიბოედოვის ქუჩაზედ, რომელიც ელექტრონით იქნება განათებული და უკეთესად მოწყობილი. წელს ამ სასწავლებელში 6 ყმაწვილმა დაამთავრა სწავლა; მათ შორის არც ერთი ქართველი არ არის.

◆ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის საკრებულომ განიზრახა ძველი შენობა ეკკლესიისა დაანგრიოს და ახალი ააშენოს უფრო ფართო და დიდებული. დროებით-კი, ვიდრე ეკკლესია აშენდება, წირვა-ლოცვა რომ არ შესწუხდეს, განზრახულია პატარა სამლოცველო აშენდეს, რიამლისთვისაც უკვე გადადებულია 6,000 მან.

◆ ტფილისში არსდება ახალი „ბებიათა დამხმარებელი“ საზოგადოება, რომლის დამფუძნებელთ პირველი კრება ექნებათ კვირას, 1 ივნისს, მშობიარეთა ინსტიტუტის შენობაში, ოლგას ქუჩაზედ.

◆ შაბათს, 31 მაისს, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, კრებაა დანიშნული ტფილისის მოხარჯეთა საზოგადოებისა.

—

ტფილისის ქალაქის საბჭო. კრება დაიწყო ცხრა საათზედ. თავმჯდომარემ მ. შესტაკოვმა საბჭოს მოახსენა ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა ქალაქის ნავთიან ადგილების შესახებ.

ეს ადგილები 1846 წელს კავკასიის მთავარმართებელს ვორონცოვს ქალაქისათვის გადუცია, რადგან ქალაქს მცირე შემოსავალი ჰქონდა რომ ამ ადგილების შემოსავლიდგან ესარგებლნა; ამ ადგილებიდგან ქალაქს დღემდის მცირე შემოსავალი ჰქონია; ქალაქს რამდენჯერმე მოუნდომებია ამ ადგილების იჯარით გაცემა, საექსპლოტაციოდ, მაგრამ მსურველნი არავინ აღმოჩენილან. ამ ბოლოს დროს ამ ადგილების შესახებ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიუმართავს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რეთა ამას გამოეცხადებინა გუბერნატორის პირით ქალაქისათვის, რომ ვორონცოვმა ნავთიანი ადგილები ქალაქს დროებით სასარგებლოდ გადასცაო, ამ ჟამადკი ქალაქს იმდენი შემოსავალი აქვს, რომ აქედგანაც შეუძლიან ქალაქის ხარჯს გაუძღვესო, ამასთან ნავთიან ადგილებსაც ქალაქი არა ხმარობს და არ სარგებლობს, ამისათვის ეს ადგილები ხაზინას უნდა დაუბრუნდესო.

საჭომ ამ საქმის განხილვას ორი საათი მოანდომა. საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ნავთიანი ადგილები ვორონცოვისაგან ქალაქს საკუთრებად აქვს დათმობილი და როგორც მესაკუთრე ორმოც და ათი წელიწადია რაც მფლობელობსო; ამ ადგილების ხაზინისათვის დაბრუნება ყოვლად შეუძლებელიაო, ამისათვის საბჭომ დაადგინა; მიენდოს ხმოსანს იურისტებს დასაბუთებული პასუხი მოახსენოს მიწად მოქმედების მინიტრს ამ საქმის შესახებ, რაც შეეხება ადგილების სარგებლობას საბჭომ გადასდო ამ ხანად 18 ათასი მანეთი ადგილების საექსპლოატაციოთ.

ბოლოს საბჭომ მოისმინა ქუჩების მოკირწყვლის საქმე.კომისიას გადაუწყვეტნია შეუდგეს ქუჩების მოკირწყვლას ამ ჟამად; გორის, ყაზბეგის, ფერბერის, ავჭალის, ოქრომჭედლების, ერევნის მოედნის ნაწილის და გოლოვინის ქუჩების მოკირწყვლას თანდათან. ეს უკანასკნელი ასფალტებით უნდა მოიკირწყლოს. საჭომ ამ საქმისათვის პირველად საქმის დაწყებისათვის 50 ათასი მანეთი გადასდო და დაადგინა ეხლავე მოიწვიოს ინჟინერი და საქმის მწარმოებელი თვალ-ყურის სადევნებლად. პირველს 250 მანეთი მიეცეს და მეორეს 60 მანეთი თვეში. ამასთან დაადგინა ქალაქის გამგეობას უფლება აქვს მოკირწყვლისათვის მოსამსახურეების დაქირავება, მხოლოდ გამგეობამ კომისიის მიერ ნაჩვენებ კანდიდატებს უპირატესობა უნდა მისცესო.

კრება 12 საათზე გათავდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება.

1903 წლის 25 მაისი.

წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა 24 მაისის სხდომის ოქმი. შემდეგ შეუდგნენ ბანკისა და საახნაურო სკოლის მოხელეთათვის საპენსიო კასის წესდების პროექტის განხილვას; პროექტი გადასასინჯად და შესასწორებლად მინდობილი ჰქონდა ამ საგნისათვის არჩეულ კომისიას. კომისიისაგან შეცვლისი და კრების მიერ დამტკიცების შემდეგ პროექტი ამგვარია: ბანკსა და სკოლის მოხელეთ, 25 წლის სამსახურის შემდეგ, ენიშნებათ სრული პენსია. 10-დან 15 წლამდის სამსახურისთვის, თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს დაანებებენ, მიეცემათ ნახევარი პენსია. ნახევარი პენსია დაენიშნებათ იმ შემთხვევაშიაც, თუ 25 წლის სამსახურის შემდეგ, ისინი ისევ დარჩებიან ძველს ადგილზე, ან სხვა დაწესებულებაში გადავლენ. პენსია ენიშნება აგრეთვე მიცვალებულ მოხელის ოჯახობასაც: ქვრივს—სანამ გათხოვდებოდეს, ან ცხოვრების სხვა რამ სახსარს იშოვიდეს; ქალიშვილს—21 წლიდგან 25 წლამდის, მაგრამ შეიძლება ამ ხნის განმავლობაშიაც ჩამოერთვას პენსია, [illegible] სხვა რამ წყარო აღმოუჩნდა. საპენსიო კასის საქმეებს განაგებს კერძო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარესა და მის თანაშესწეს ირჩევს ბანკის ზედამხედველი კომიტეტი. კასის წევრთა საჩივრებს არჩევს გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებული კრებული. საპენსიო კასის თანხას შეადგენს ბანკის წმინდა მოგების 5% და მოხელეთა ჯამაგირების 5%.

შემდეგ დამფასებელთა ინსტრუქციის § 11 შეიცვალა ამგვარად: თუ მამული 15 ათას მანეთზე მეტი არა ღირს, შეძლება, ერთმა დამფასებელმა შეაფაროს; 15,000—30 ათას მანეთამდე ღირებული—ორმა დამფასებელმა; იმ შემთხვევაში-კი, თუ მამული 30 ათას მანეთზე მეტად ღირს, უნდა დაესწროს არა ნაკლებ დამფასებელ კომისიის სამის წევრისა, თან, თუ საჭიროება მოითხოვს, გამგეობის ერთი წევრიც უნდა დაესწროს; მამულის დაფასებას. დანარჩენ საგნების განხილვა გადაიდო 26 მაისის, დილის 10 საათამდის.

დავა.

მცირე რამ ჩვენს სამღვდელოებაზე.

როგორიც ერი, ისეთი მღვდელი.
მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირ უკანაო.
ხალხური თქმულება.

...აწინდელის ჩვენ ცხოვრების წინ-მსვლელობას, მარტო ხალხის უმეცრება არ ეღობება წინ: ამაზედ არა ნაკლებ ღვაწლი მიუძღვის უკულმართობაში,* ესრედ წოდებულს „კულტურულ ხროს“. დიდია ყველგან ეს ხრო და დღითი-დღე ფართოვდება იგი ჩვენშიაც.

საფრანგეთიდან კლერიკალთ განდევნის ხმა მოესმათ, და კულტურულ ხროს ჩვენშიაც „ალილუია“ ჭინკების ყმულიად მიაჩნიათ, ანაფორა „ცივილიზაციის“ ღერძის ამბღანდ იარაღად. იმიტომაც თვით სამღადელოებაზედ სჯა, აბა რაშიღა მოეპიტნავებათ.

ასეა, როცა მჩატე გონებას ღმერთი გაუწყრება და ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცლება... რომ დიადი რამ საჭირ-ვარამო აქვს აწინდელს ჩვენს სამღვდელოებას; მჭიდროდ შეკავშირებულს ხალხთან და საზოგადოებასთან,—ეს

---

*) იმათებური „ცივილიზაცია“ უკულმართულს უდრის.

ცხადი საქმეა. ხშირად სოფელში იგივე სიღატაკე და ეკონომიური დუხჭირი სთნავს გლეხობასაც და სამღვდელოებასაც,—თუ მართალი გნებავთ, იგივე უმეცრება და გაუნათლებლობა. კულტურულ ხროს ვარმით ხომ მრავალი სამღვდელოობაა შეპყრობი ქალაქებშიაც, დსბნებშიაც.

როდესაც დაჰმგზავრობ ჩვენს სოფლებში, ხშირად შესდიხარ ისეთსავე დაფხავებულს მღვდლის ქოხში, როგორიც არის ბევრი გლეხის, ჰხედავ ისეთსავე დაკონკილ ტანისამოსში მშიერ-მწყურვალს მღვდლისა და დიაკვნის ცოლშვილს, როგორათაც მეზობლის გლეხობისას. ბევრი ამ მღვდელთაგანი მკაფიოდ კითხულობს სახარებას, სწირავს სასოებით, მაგრამ ცხოვრებში მიმდევარია იმავე მკითხავებისა, შელოცვისა, ჯადოების, როგორც თვით გლეხობა. ქიაკოკონობას ბანზედ ასკილს აჯვარერინებს, რომ მავნე არ ჩაძვრესო, „თვალისას“ ზეალოცვინებს მეზობელ ბებრუხანას, როდესაც ძროხა გაუხდება ავად და სხვ. უფრო ხშირად სოფელში შეჰხვდებით მღვდელს იმავე ყაიდის, რა ყაიდისაც არიან სოფლის „ჭახრაკი“ გლეხები. ამათსავით სახლკარი ცოტა რიგიანად მოუწყვია, მამული რამ შეუძენია, საქონელი, ბეღელი, კალოსაბძელი; მღვდელობასთან ერთად მოვაჭრობენ, ალებ-მიცემობენ, იჯარადრობენ. ესები „უჩილიშჩას“ და „ეპარხიას“ შვილებს არ აცილებენ. დღე-ღამე არა სძინავთ, რომ შვილებს მაინც მისცენ სწავლის გზა... სმაქმა სიხარულ-ბედნიერობა, იგივე აქვთ, რაც სოფლის „ჭახრაკ-ყულაპია“ გლეხებს.

სოფელში ამგვარ მღვდლებს აქვთ ნიადაგი,—მათ უფრო პატივსა სცემენ, როგორც ღვიძლ ძმას ნათელ-მირონობა, მოდგმა-მონათესაობა უფრო აკავშირებს ამგვარ მღვდლებს ხალხთან, აწინდელ უბადრუკ სოფელთან.

არიან ახალი ტიპის მღვდელნიც, რომელიც კულტურულ ხროს წარმომადგენლებად უნდა ჩაითვალნენ. ესენი სასწავლებლის სკამიდანვე ათვალიერებენ ჯამაგირიან „პრიხოდს“. პენენიკა ტანსაკმელით, ნავარხნთმა-წვერით ისრულებენ წადილს, ხშირად ცოლის მზითევიც შველით ამ საქმეში, რადგან ისე არ შეირთავენ ცოლს, რომ სამოციოდ, ასიოდ თუმანი არ აიღონ ქრთამად. ამ გვარ სოფლებში სახლი საეკლესიოა... შიგ ათავსებენ ახალ მოდის „ფინტი-პლიუშკებს“. [illegible] ხელისათვის ოციოდ ბალღიდან სამრევლო სკოლასაც მართავენ, რუსულ მქიდაგებელით „გადმოპლაგიატებით“ რაღაც „რეჩებსაც“-კი ახერხებენ დამარხვაზედ, ეკლესიაში. თან იძენენ სასულიერო „უსტავებს“ „რუკოვოდსტვოებს“ და ციტატებით ავსებენ რაპორტებს, თოვნებს „კანტორის“, „კანცელარიის“ ხშირად დაიარებიან ქალაქში, დასტრიალებენ... სცდილობენ ბლაღოჩინობას, ჩინს, უკეთეს ადგილს, თუმცა არც ამ უკანასკნელში დარჩებიან ხანგრძლივ, როგორც უნიადაგო კარქვეტის მოგლეჯილი ბარდი, ისე დაგორავენ მრევლიდან მრევლში: „მაია სემინარისტო“!..

თუ იგდო ამისთანა სულიერმა მამამ ბლაღოჩინობა, გამომძიებლობა, ან სკოლების ზედამხდველობა, უნდა ნახოთ, რა დღეს დააყენებს ხელქვეითებს! უსუსური და ფუყი, პედაგოგიურს უბრგო საკითხში თავი პესტალოცზედ მაღლა მოაქვს. ამგვარი მამა ხშირად დაეჯახება ხოლმე თავისავე მსგავს მეტოქეს და უნდა ჰნახოთ იმათი დანოს-მიწერმოწერანი კანსისტორიაში! ავ-კარგი ჩვენის გაჭირვებულს ქვეყნისა ამ კულტურულ ხროს წარმომადგენელთათვის გაუგებარია.—მათს თხელ და ნახევარ სწავლას მეტიც არ მოეთხოვება.

ღვთით, ჩნდებიან ისეთი მღვდელნიც და დიაკვნებიც-კი, რომელნიც თავის ინტერესებს უკავშირებენ მრევლის კეთილ დღეობას მის წარმატებას, ზნეობით, ცოდნით იგინი წინ უძღვიან ხოლმე გონებით ჩაბრმავებულ სოფელს. მკვიდრად ჰკიდებს სოფელში ხელს იმ საპატიო დარგს წარმოებისას, რომელიც უფრო სასარგებლოა იმ სოფლისთვის, ვითარდებიან ამ დარგის შემეცნებაში პრაქტიკულად, თუ თეორიულად, აწინაურებენ ამ დარგს და მაგალითად წინ უძღვიან მრევლს. სამკურნალო, საიურიდიო, სააგრონომიო ცოდნით მატლად ედებიან ხალხს. ამ გვარ მღვდლებს პატივისცემით იხსენიებენ ყველგან. მეტადრე ხვავიანია და მადლიანი ამ მოძღვართ მოღვაწეობა, თუ მშობლიო სოფელში მღვდლობს, სადაც მამას, ან პაპასაცკი უღვდლია, შეუძენია რამ და გაიქაურებულან. უსაქმო მღვდელს, მიმდევარს მარტო თავის თანამდებობისას, ჩვენს სოფელში სრულებით არა აქვს ნიადაგი. ყოველი ეს არის უტყუარი დასკვნა მამა-პაპეულ ანდაზისა: „როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო“. ასეთავეა თვით ჩვენი საზოგადოებაც.

თუ ავა იგი განათლებაში იმ სიფართემდე, სადამდისაც ასულია ინგლისის ერი, მაშინ ჩვენი სამღვდელოებაც, მათ სამღვდელოებას დაუსწორდება. იქ მღვდელია თავი სოფლისა, მას აბარია ყოველგვარი შესაწევი კასსანი. შეხვალ, თუ არა სოფელში, მღვდლის სადგომია და ეკკლესაია საუკეთესო შენობანი. გაქვს გაჭირება მგზავრს, ინგლისის მღვდელს უნდა მიჰმართო, რადგან მგზავრთა დამხმარი კასსა მას აბარია. გახდი ავად, მასთანვე უნდა მიხვიდე,—იგია ავადმყოფთ დამხმარებელ კასის უფროსი, გაჰღატაკდი—მღვდელია მომცემი შემწეობისა კასიდან. იქ მღვდელია მოთავე მრავალ კეთილ დაწესებულებათა. მისი უბრალო ბარათიც-კი საკმარისია, რომ პარლამენტში შეგიშვან. ხშირად სოფლის მღვდელი არის „კაცი ოქსფორდიდან“, [2] როგორც ინგლისელები იტყვიან ხოლმე—ესე იგი ოქსფორდის, ან სხვა რომელსამე უნივერსიტეტის ღვთის-მეტყველების ფაკულტეტზედ სწავლადამთავრებელი. მღვდელი ინგლისის საქმიანი მქადაგებელია და ზნეობით დამწინავრებელი მრევლისა. სამაგიეროდ, ჯამაგირსაც დიდს იღებს, 3,000 და 4,000 მანეთს.

რა უნდა მოსთხოვო ჩვენს მღვდელს, რომელიც ღატაკ გლეხებთან გაჭირებაში ირთმევს სულს უჯამაგიროდ? წინად დიამბეგს 400 მან. ჰქონდა ჯამაგირი, ეხლანდელ ბოქაულს 1,500 მ. გაუხადეს. ნიკოლოზის სალდათს წელიწადში 50 კ. ეძლეოდა, ეხლანდელ სალდათს ეს თვეში ეძლევა. მღვდელიკი, მაშინაც იღებდა მრევლიდან პურს, ქათამს, კვერცხს და ეხლა იმასვე იღებს... მაგრამ ვიღამ შეარჩინა გლეხს ქათამი ან კვერცხი? ყვავს რა აქვს, ბუს რა მისცეს?! იმიტომაც ღატაკია ჩვენი სამღვდელოება,—ისეთივე ღატაკი, როგორც თვით ჩვენი ხალხი... ბევრჯელ იმდენი არ ეშოვება, რომ გაზეთი, წიგნი გამოიწეროს და მიღებული სწავლა არ გააპაროს. გარდა თვის მოვალეობისა უნდა იშრომოს, ოფლი იწუროს და ისე გამოვიდეს ქვეყანაზედ იოლად, დაზარდოს შვილები. იმიტომაც ამ გვარ შრომით ბევრჯელ უზრდის სამღვდელოება ქვეყანას ლაზათიან შვილებს. ჭირში ნაჩვევნი და ნაწრთვევნი სასულიერო წოდების ინტელიგენტი მუყაითიანი მოსაქმეა, პატიოსანი, ღირსების დამცველი.

მთავრობამ ამ ბოლოს დროს ჯამაგირები და პენსიაც გაუჩინა სამღვდელოებას. ზოგან ჩვენშიაც გაჩდნენ 300 მან. ჯამაგირიანი მრევლნი, მაგრამ იქით კულტურულ ხროს წარმომადგენელნი იწევენ, ხოლო თუ რომელსამე ნიადაგზედ დამყარებულ მღვდელს მიერგო, გაქვთ გამარჯვება, რომ იგი წელში იშლება: შვილების აღზრდას თამამად უმზერს, შრომით დახეთქილ ხელებს მცირედ მაინც ისუფთავებს.

ჩვენი სამღვდელოება ისეა ერთმანეთში განკერძოვებული, რომ საერთო საქმენი სრულებით არ უჩანთ, თუ არ მთავრობის ინიციატივით. მშობლიო ვრცელი და ძვირფასი ძველი სასულიერო ლიტერატურაც-კი მათთვის დახშულია, რომ ქადაგებანი მაინც საკადრისის ენით აწარმოვონ, თვარა ყურები თითებით უნდა დაიცო, როდესაც უნიადაგო მოძღვარი „რეჩაობს“...

დასასრულ, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ერთ ახალგაზდა ბლაღოჩინის კეთილ სინდისიერებაზედ, როგორც კეთილი მაგალითი სხვებისთვის. მოსვლიუმალ შესცვალა სასტიკი და ხეპრული კილო მიწერ-მოწერისა ძმურის და დარიგების ბარათ სიტყვიერებზედ. გორიზ ქვევის მაგიერ ყოველ მღვდელს ძმურად და ტკბილად მოეპყრო. გაჭირება მათი სთხოვდა მას და შველასზედ აქეზებდა. (დარიგებით და ლმობიერებით ყველას ავ-კარგი შეიგნო, ყველასაგან პატივი დაიმსახურა. დაჩაგრული მღვდლები წელში გაშალა. რავდენმამე კულტურულ ხოთაგანმა რაპორტირაპორტებზედ მიაყოლეს.—უნდოდათ აეყოლებინათ, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა. ძმანო, ჩვენ ერთმანეთის სადაოდ არა ქვეყალიან,—საერთო უღელი ძმურ გასჯასა გვთხოვსო. სადაც-კი სკოლის საქმე ითხოვდა გარჯას, ან სიძველე შეკეთებას, ან თუ უცხო ერისაგან საქმე დაცვას, ყველას სიფთხილით და საქმიანობით ეკიდებოდა. ერთი მოძღვარი ისე გადაეკიდა, რომ ბევრჯელ უჩივლა, მაგრამ მან სამაგიერო არ გადუხადა; მხოლოდ ძმურად ამხელდა მის ცუდ ზნეობას, ურჩევდა რიგიანს გზაზე დადგომა, საჩივრებიც ამან დააწყობინა თავითვე მტყუან მღვდელს.

ზ. გ—შვილი.

---

[2] ოქსფორდის უნივერსიტეტი უძველესი და სახელოვანი უნივერსიტეტია ინგლისში. დიდი შეძლება უნდა გქონდეს, რომ იქ დაასრულო სწავლა. იგი ლორდთა და დიდი ფულის პატრონების შვილთა სასწავლებელია. ოქსფორდის დასრულებას, თან მთელი ქვეყნის შემოვლა-შესწავლა თნდა მიჰყვეს, იმიტომ ინგლისური თქმა: „კაცი ოქსფორდიდანაო“ ჰნიშნეს დიდად—განკითარებულ კაცს.

ავტორი.

ჩვენებური ამბები

წალკა (ბორჩალოს მაზრა). წალკაზედ ნემენცების ახალშენ ალექსანდროვგილფში 26 მაისს სალამოთი მეხმა მოჰკლა ერთი თონგეთელი გლეხის ბიჭი 16 წლისა და ერთიც ნემენცი, ორივ ერთ ალაგას მდგომარენი, ახალშენის დიდ ქუჩაზედ.

—

ქუთაისი. 24 მაისს, ნაშუაღამევს, პოლიციის უბნის უფროსმა საყვარელიძემ შეიპყრო სამი ქურდი, რომელნიც ქალაქის ბაღში იმალებოდნენ. ერთი მათგანი, როგორც გავიგე, აბაშიძე ყოფილა; ეს აბაშიძე რამდენჯერმე დაუჭერიათ წინადაც ჯიბგირობისათვის.

კვირას, 25 მაისს, ქალაქის თეატრში მომღერალმა გრ. საყვარელიძემ გამართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ბათომიდან ჩამოყვანილი მომღერალთა გუნდი. კონცერტი სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა. შესრულეს სულ 24 სიმღერა, რომელთაგან უმეტესი ნაწილი თვითონ ბ-ნ საყვარელიძის მუსიკა იყო. კონცერტმა საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ბევრი სიმღერა ჩინებულადაც იქმნა შესრულებული და საზოგადოების თხოვნით ხელმეორედ გაიმეორეს. საუბედუროდ კონცერტს საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო. როგორც პროგრამაში იყო აღნიშნული, ბ-მა საყვარელიძემ სანიმუშოდ გამართა კონცერტი ქუთაისის თეატრში; მალე ის კონსერვატორიაში აპირებს წასვლას. ახალგაზდა მომღერალს უეჭველად გალობის დიდი ნიჭი აქვს. ვუსურვოთ ამ ნიჭის გაფართოვება და სამშობლო ხმების აღდგენა და გამდიდრება. ჩვენს საზოგადოებას-კი საყვედურის მეტი რა უნდა ვუთხრა, რომ ასეთს ნიჭს არ ახალისებს და არ აძლევს ფართო გზას.

— 25 მაისს ქუთაისის ბულვარში გაიმართა სეირნობა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. ბაღში შესასვლელი ფასი დიდებზე ხუთი შაური იყო, პატარებზე-კი—სამ-სამი შაური. სეირნობას საზოგადოება ცოტა დაესწრო. ამის მიზეზი ის იყო, რომ სალამოს მოიღრუბლა და ცოტაც წამოწვიმა, რამაც დააფრთხო საზოგადოება და შინისკენ გააქცია. ბუფეტსაც ცოტა შემოსავალი ჰქონდა.

დავა.

რუსეთი

გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს შეუტყვია, რომ ყველა ცენტრალური დაწესებულებანი ამ ჟამად შეუდგნენ იმ საკითხის გარდაწყვეტას, თუ რა და რა საქმეები შეუძლიათ გადასცენ ადგილობრივ დაწესებულებათა უწყებაში. ეს საკითხი 1 ავგისტომდის უნდა გადაწყდეს.

— „ფინლიანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია სია იმ ფინლიანდიის მოხელეთა, რომელნიც ვალდებულნი არიან წარუდგნენ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს სამსახურში დანიშვნის, ან არჩევის შემდეგ.

— კერძო პირთ ნება დაერთოთ, გამართონ ავტომობილებით მიმოსვლა ქ. ნოვოროსიისკისა და სოხუმის შუა. ამ საქმის მოთავეთ განზრახვა აქვთ დააარსონ საზოგადოება, შეაგროვონ ექვსი მილიონი თანხა და გამართონ ზემოხსენებულ ქალაქებს შუა მიმოსვლა ვაგონ-ავტომობილებით.

— დონის როსტოვიდან ტელეგრამით ატყობინებენ „ნოვ. ვრ.“-ს, ყოველ დღე, ქალაქს რომ უახლოვდება დილის მატარებელი უკანასკნელ სადგურზე უბილეთოთ ჯდებიან შიგ ბევრი მეწვრილმანე ვაჭრები, ქალი და კაცი. რკინის გზის ადმინისტრაციამ უკიდურეს საშუალებას მიმართა მათ მოსაგერიებლად. წინდაწინვე შეაგროვა დარაჯები და უბრძანა, ძალით არ შეემვათ უბილეთო მგზავრები მატარებელში. ასტყდა დიდი ჩხუბი. დარაჯებმა, რომელთა შორის მთიულები იყვნენ, ხანჯლები იხმარეს და სისხლის ღვრა მოახდინეს.

— ხაზინამ კიდევ 1,020,830 მან. გამოიღო პირველი რუსეთის საყოველთაო აღწერის შესამუშავებლად და დასაბეჭდად. მუშაობა დასრულდება 1905 წლის 1 ივლისამდის.

— 13 მაისს ჩამოვიდა ოდესაში ცნობილი ფსიხიატრი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი სიკორსკი. ამ მეცნიერს წარუდგინეს გადასაწყვეტად საკითხი, დუბოსარში მოკლული ბავშვის შესახებ. ერთი ებრაელი, გვარად ბეკკერი, ხმას ავრცელებდა ხალხში,

ფელეტონი

„კამისია“

(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)

I

— სწორედ ესღა გვაკლდა აი! ის ოხრები აქამდის სად იყვნენ? ეხლა გაცხარებული მუშაობაა, ყველა უნდა თავი დავანებოთ და გულხელ-დაკრეფილებმა ვდიოთ უკანა?! იმათი ღდინი-კი ამოვარდა, იმათი სალავათი, აჰანდე!.. ამ სიტყვებით ნინიკამ შეაღო სახლის კარი. ოთახში არავინ იყო.

— ნინიკა, ბიჭო! გარეთ გამოდი!.. მოისმა უკანიდგან. ნინიკა საჩქაროდ მოტრიალდა, დაინახა კარებზე მომდგარი ცხენოსანი, რომელიც თავის რაშს ძლივს იმაგრებდა ხელში.

— ბატონი აცოცხლა ღმერთმა! მობრძანდი შენი ჭირიმე!.. მიეგება ნინიკა.

— აჰა ცხენი! ამაყად დაიძახა მებატონემ, აღვირი მიაგდო და თვითონ ხვნეშით გადმოვიდა. თავადი იასონ ცხენზე უფრო მედიდურად მოსჩანდა, დედამიწაზე-კი შეიცვალა დარგვალებულ ბურთად, რიაძლის მოკლე, გაჯღინული ფეხები ძლივს მაგრდებოდნენ ნიადაგზე. ამისი ჩაჯიგრებული სახე, ძალზე დაწითლებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ ხშირი სტუმარი იყო ბახუსისა. იასონ თამამად შევიდა ოთახში, დოინჯ შემოყრილმა გაიარ-გამოიარა, შემდეგ გაჩერდა კარებთან და გასძახა:

— ნინიკა! ემანდ პატარა ბიჭს მიე ეგ ცხენი და შენ აქ მოდი.

— ეხლავე, ბატონო! მოისმა მორჩილი პასუხი ნინიკასი, რომელმაც დიდხანს არ ალოდინა.

— ნინიკა! დღეს შენი სტუმარი ვარ, დახვედრისა შენ იცი!.. უთხრა იასონმა იმნაირის კილოთი, თითქო პირ-იქით აძლევდა საჩუქარს.

— კეთილი, ბატონო, თქვენს სტუმრობას ხამი არ გახლავარ. ერთი მიბრძანე, შენი ჭირიმე, რითვინ მოვიდა ე კამისიაა, თუ რაღაცაა?

— მამულები უნდა დაყორღნოს. კაი საქმეა. დაუმატა იასონმა და პირზე კმაყოფილმა ღიმილმა შეუთამაშა.

— ნასყიდობაი?.. ნასყიდობას რაღას უშვრება?..

— ნასყიდობასაც დაყორღნის ისე, როგორც სხვას. როდესაც მამული დაგირავებულია პრიკაზში, როდი იწყნარებენ ცალ-ცალკე ნაჭრების დაყიდვას, უკანონოა... ეხლა გასწორდება, რაც-კი არეულ-დარეულია, თვითეულს ნაჭერს თვისი პატრონი გამოუჩნდება.. მაგრამ იმაზე მერე მოგელაპარაკებით! ეხლა-კი უნდა წავიდე გამმიჯვნელთან, საქმე მაქვს. მანამ შენ შეატყობინე ჩემ კაცებს, რომ ყველანი აქ მოვიდნენ. ნინიკას ჩრდილმა გადურბინა სახეზე და თავი ჩაჰკიდა ძირს. იასონი მათრახის ქნევით გამოვიდა კარზე.

— აბა, ბიჭო, მოიყვა ცხენი!.. შენც, ნინიკა, ვინძლო სადილი არ დამიგვიანო! მოაყვირა იასონმა და ქუსლი ჰკრა ცხენსა. ნინიკა დაღონებული გაჩერდა კარებთან, კარგა ხანს უყურებდა იასონს, ვიდრე უკანასკნელი არ მიიმალა, შემდეგ შემობრუნდა ოთახში და ჩამოჯდა ტახტზე. ეს ვერ მოსულიყო გონს, ფიქრობდა და ვერ გამოეცნო, თუ რაზე უნდა მოლაპარაკებოდა იასონი ამათ. ბარე ხუთი წელიწადი იყო, რაც ნინიკასთვის „ნაქერალში“ კაი ოც-და-ათი თუმანი მიეცა. დღესაც მოსდევს ის ვალი, ვერ გაუსტუმრებია. ბატონი-კი იძახის ეხლა გამოუჩნდება პატრონიო!.. რა პატრონი?.. ვინ პატრონი?.. ეს სიტყვები ნინიკას მეტად აშინებდნენ, ათასნაირ მავნე სულად, უცნაურ ქმნილებად, ეჩვენებოდა, თითქო დიდი რქები გამოსხმოდა, დიდი თვალები, ბასრი ბჭყალები, რომელთაც უნდა ჩაეჭირათ ამისთვის და დაეხრჩოთ სწორედ, ისე, როგორც შარშან ბერიკაანთ ნინია დაახრჩო წყეულმა ნერგებ ქვეშ. ნინიკამ შუბლზე გადისვა ხელი და მოიწმინდა კუკურებად დასხმული ოფლი.

— ეჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი! ამ დილით ნაქერალიდგან უდარდელად მოვღიღინებდი... ვფიქრობდი, სახლს დავხედავ, დავბრუნდები და სალამომდის გადავაძავებ ჩემ ნაფუზარსა-მეთქი... მოვატანე სოფლის ოროლობეს და ქიხკასავით გზირი დამხვდა, კამისია გიბარებსო. მოვედი და იასონი ცალკე სადილს მიკვეთინებს... ხვალ კიდევ, ვინ იცის, რა იქნება!.. ვინ იცის, როდემდის იქნებოდა ამ მწარე ფიქრებში ნინიკა, რომ ამ დროს კარი არ გაეღო ამის ახალგაზდა ცოლს. ქალმა, რომ დაინახა სახლში ქმარი, გაოცებით მიიდო ტუჩზე თითი და გაჩერდა ერთ ადგილს.

— კაცო, მე მეგონა ეხლა სახნავში დამხვდებოდი პაზედასთან შევედი, მინდოდა ერთი კბილი ნიგოზი მესესხა, რო ლობიო შემეკმაზა და წამომელო და შენ აქ მანდილოსანსავით რას ჩამომჯდარხარ და ფიქრობ?

— ეჰ, რა დროს ლობიოა, დედაკაცო? წადი, შენ ერთი კაი დედალი დაიჭირე!

— რათ გინდა?

— ბატონი იქნება ჩვენთან სადილათ.

— იი თვალებიც-კი გამოსკდომია, აჰანდე! ჯერაც არ მოხეტებულა!.. რაო, რისთვის დაწანწალებს, რა მინდაო?

— კამისიას მოჰყვა. ერთი ჩანახი ქერიც წაუღე ქიტესას და ერთი ბოთლი არაყი გამოართვი! მშრალ დედალს ხომ ვერ მივუტანთ?

— ახლა ვინ მოიშორებს მაგ მშიერ მგლებსა!... ვაი ჩვენი ბრალიცა! მაგასაიან სხვა ტუმარიც იქნება!... ვაი საფელო, აოხრებულო! ჩაიწუწუნა ნატომ, თავშლის წვერები გაიკეცა უკან და გამოვიდა.

II

ნინიკა რეხვიაშვილს თუმცა წელი სწყდებოდა „კამისიის“ მოსვლაზე, მაგრამ რაღას გააწყობდა. გადასწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, გაფრთხილებოდა თავის „ნაქერალს“ და არავისთვის დაეთმო, რადგან ეს იყო ამისი მაცხოვრებელი. სამ წვრილ ბავშვს და ახალგაზდა ცოლს ეს მიწა ანუგეშებდა, უპატიოსნებდა მტერსა და მოყვარეში. ეხლა საქმე იასონზე იყო, ამათი სული იმას ხელში ეჭირა. მართალია, ოც და ათი თუმანი მიუცია, მაგრამ ფული რომ უკანვე დაუბრუნდეს და მიწა ჩამოერთვას? ნინიკას შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. რის ოც და ათი?.. განა ოცდა ათ თუმანზედ მეტად არ უღირს? რამდენი სარგებელი გადაუხდია ამ მიწისთვის აღებულ ვალში! ოც და ათი-კი არა, ას თუმნადაც არავის დაუთმობს... ის მიწა ამისი ოფლია, ამისი სისხლია!..

— დედაკაცო, სადილი მოამზადე!.. სახნავში მიტრა გაგზავნე, მეუთვალე, რომ მე ჯერ ვერ მივდივარ და ნულა დამიცდიან. გააკეთონ საქმე. მე-კი ეხლა „კამისიასთან“ უნდა წავიდე.—უთხრა მან ცოლს კარგა ფიქრის შემდეგ და გასწია. ნატოს ხმა აღარ ამოუღია. გაჩუმებული ასრულებდა ყველაფერს, რასაცკი ეუბნეოდა ქმარი; ხედავდა სალაპარაკო დრო არ იყო, რაღაც დიდი, უჩვეულო ამბავი ხდებოდა და საჭირო იყო საქმიანობა. ეს გამოვიდა ოთახიდან, ცოტა ქერი გამოუტანა საქათმეში თავის შვიდიოდ დედალს, რომელნიც გაჭირებით გამოეზარდა. დაღონებული დასცქეროდა მიმტყუებელ მარცვლებს, რომლებსაც დაესივნენ ნაცარა, მეგრულა და ბოლოზექედა...

— ჯუ, ჯუ, ჯუ!..—გაისმოდა ნატოს ძახილი.

— კა, კა, კა!..—მოესმოდა პასუხი ყოველ მხრიდან. ქათმები ძვრებოდნენ ღობეებიდან, ფრინდებოდნენ ერდოებიდან და იკრიბებოდნენ ერთად. ნატომ თვალით აარჩია სამსხვერპლო და დანარჩენები-კი ისევ გამორეკა.

— ჩემო მეგრულა!.. შე საწყალო! უნდა დაგკლან?...—ჩაჰკითხოდა ნატო შეშინებულ ქათამს, რომელიც ხელში ეჭირა და იმისი გულის ბაგა-ბუგი კარგად ესმოდა. ნატომ აულო მაღლა ნისკარტი, თვალებში აკოცა, თითქო მიტევებასა სთხოვდა, შემდეგ გამოუკეტა კარი, თვითონ დაუწყო ჩინჩხვერებს კრეფა, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა. ამასაც მალე მორჩა, შემდეგ დაგავა ოთახი, გადმობერტყა ტახტები, ქილობის ნაცვლად გაშალა მზითევში მოყოლილი ფარდაგი. ბუხრის რაფაზე დადგა ახალი „კრუჟკა“, რომელიც სტუმრისათვისა ჰქონდათ შენახული. თვითონაც გამოკოხტავდა, ჩაიცვა სუფთად ჩითის კაბა და გამოვიდა მეზობლიანთსა, რომ ქათამი დაეკვლევინებინა.

— ჩემო ძალო, ნურას უკაკრავად, მაგრამ ნინიკა „კამისიასთან“ წავიდა და, შენი ჭირიმე, ეს ქათამი დამიკალი!—შეეხვეწა მეზობელ ბესოს, რომელიც კარზე ედგა და ნაჯახით სთლიდა რაღასაც.

— ადვილი სამსახურია, ჩემო დაო; მოიყვა! უპასუხა ბესომ და მსწრაფლ წასწყვიტა თავი ქათამს. ნატომ მადლობა გადაუხადა, საჩქაროდ წამოიღო სახლში, დადო ლანგარზე და დაუწყო ბუმბულს წიწკნა. ნატო ახალგაზდა ლამაზი დედაკაცი იყო. მისი შავგვრემანი სახე, ჩაკვრივებული მკლავები და ტანი გარჯაჯაფას არ შეუშინდებოდნენ, ამის ხელში საქმე მსწრაფლ კეთდებოდა; ქმარს მხარში ამოსდგომოდა და მძიმე ცხოვრების უღელს უწევდა. სიღარიბე მაინც არ შორდებოდათ, დღითი-დღე ძლივს იკვებებოდნენ, მაინც არ უტყდებოდნენ გაჭირებას და, იმედით გამხნევებულნი, გულმაგრა უდგნენ მომავალს. მას აქეთ უფრო ფრთები შეესხათ, რაც „ნაქერალი“ დაისაკუთრეს, თუმცა მისი შემოსავალი მღვდელს, ბატონის ღალას და ფოსტის ფულ არა რჩებოდა.

— რა ვუყოთ, დღეს თუმცა ასეა, მაგრამ ხვალ „ნაქერალს“ „გუგულის“ მიწას მივუმატებთ, ერთი-მეორეს შეეფარება, ბატონის ღალა შემცირდება და ჩვენი შვილები ხომ

რომ ეს ქრისტეანე ბავშვი ებრაელებმა მოკლეს. სიკორსკიმ გაშინჯა ბეკკერი და აღმოაჩინა, რომ იგი სულით ავადმყოფია. პროფესორმა სიკორსკიმ წარმოადგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც უარ-ჰყოფს ხალხში გავრცელებულ ცრუ-მორწმუნეობას ებრაელთაგან ქრისტეანეთა სისხლის ხმარების შესახებ.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. ჯერ ხორვატიის ხალხის აღელვება არ ჩამქრალიყო უნგრეთში, რომ იტალიელთა დემონსტრაციებიც ზედ დაერთო. ხორვატებს არავინ გამოსარჩლებია, გაუცრუვდათ იმედი „განათლებულ ქვეყნის“ დახმარებისა. ისინი ისევ მადიარების უღელს ქვეშ იმყოფებიან. სამაგიეროდ ავსტრიელ იტალიელებს მთელი იტალია გამოეხმაურა. ხორვატიას ერთად ერთი იმედი აქვს: მალე უნგრეთში სამინისტროს კრიზისი დადგება და იმპერატორი ახალი კაბინეტის შედგენას გრაფ კუენ-გედერვარის მიანდობსო. უკანასკნელ ბალის დროს უნგრეთის სასახლეში კუენ-გედერვარიმ ამაყად და თავმოწონებით გაუწოდა ხელი გრაფ ჩაპარის; ხორვატიის ყოფილმა მინისტრმა იოსიპოვიჩმა წაილაპარაკა: ჩვენი მომავალი ბატონი მობრძანდებაო. მართლაც უმაღლეს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ მარტო კუენ-გედერვარია, რომელიც შესძლებს ამბოხების ჩაქრობას და ეროვნული განხეთქილების მოსპობას უნგრეთშიო.

სულ სხვა მდგომარეობაშია იტალიელები ავსტრიაში. ავსტრიის მთავრობა დიდის მორიდებით და დიდის სიფრთხილით ეპყრობა მათ. მთავრობა დარწმუნებულია, რომ მთელი იტალია ავსტრიელ თანამემამულეებითა დაინტერესებული და რომ ამ უკანასკნელთ სასტიკად მოეპყრას, ასევე სასტიკად მოჰქცევიან იტალიელებიც. ტიროლში დიდი ხანია, რაც იტალიელები და ნემცები ერთმანეთს ებრძვიან და მით საზოგადო და საერთო საქმეს ხელს უშლიან. მათის ერთმანეთში წაკიდებით მშვენივრად სარგებლობს სამღვდელოება, რომელსაც ლამის არის მთელი კუთხე თავის კლანჭებში იგდოს. ორი წლის უკან ტიროლის სეიმის წევრები, როგორც იტალიელები, ისე ნემცები, დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის ეკონომიურად გასაღონიერებლად მშვიდობიანობა და თანხმობაა საჭირო. შეადგინეს კიდეც შეთანხმების და მორიგების პროექტი, მაგრამ ამ დროს ჩაერია შუაში ავსტრიის მთავრობა და ჩაფუშა საქმე. ის diride et impera-ს პრინციპის მომხრეა, რომ დაქსაქსულ და დასუსტებულ ქვეყნებში ადვილად იმეფოს და იბატონოს. ტიროლის იტალიელები და ნემცები ისევ იბრძვიან ერთმანეთ შორის, ისევ ასუსტებენ ერთი მეორეს. ყველა ეს ეროვნული შუღლი და მტრობა მხოლოდ მარტო ავსტრიის მთავრობისათვისაა ხელსაყრელი და გამოსადეგი. ავსტრია-უნგრეთში ბევრი სხვა-და-სხვა ეროვნობის ხალხია; ყველას უნდა დამოუკიდებლობა, ავტონომია, რასაც ვენის კაბინეტი სასტიკად ეწინააღმდეგება. ერთიც ვნახოთ შეერთდნენ ეს სხვა-და-სხვა პატარა ერები და საერთოდ მოითხოვს ავსტრიის მთავრობიდან განცალკევება. მაშინ ხომ ავსტრია შესუსტდება, ვენის კაბინეტს გავლენა აღარ ექნება, როგორც დღეს არის. ის იქნება ავსტრიის პოლიტიკური სიკვდილი. ამის შემდეგ რისთვის არ ეცდება მის სხვა-და-სხვა უკმაყოფილო პატარა ხალხები ერთმანეთს მიუსიოს და გადაამტეროს!?.

ათი წელიწადია, რაც იტალიელები ტიროლში უნივერსიტეტის დაარსებას თხოულობენ მთავრობისაგან. ახალგაზდობამ ვენის უნივერსიტეტში უნდა იაროს, რაიც მეტს ხარჯებს მოითხოვს, რასაკვირველია. ჩვენ კულტუროსანი ხალხი ვართ და უნივერსიტეტიც ჩვენი გვინდაო,--ამბობენ ტიროლში იტალიელები. მათი მოთხოვნა კანონიერი და სამართლიანია. განა ცოტაა კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილებანი, რომლებსაც ავსტრიის მთავრობა არ აკმაყოფილებს? განა ჩეხების და რუსინების მოთხოვნა მორავიაში უნივერსიტეტის, ან პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ სამართლიანი არაა?

ინსპურგში იტალიელ სტუდენტებმა დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრაცია ბოლოს ისე გამწვავდა, რომ განათლების სამინისტრო იძულებულია დაუთმოს მანიფესტანტებს. სამინისტრო დასთანხმდა ინსბურგის უნივერსიტეტში იტალიანურ ენაზედაც იკითხებოდეს ლექციები.

გაიგეს თუ არა იტალიის სტუდენტებმა ჩვენი თანამემამულე ამხანაგებმა ავსტრიის უნივერსიტეტებში დემონსტრაციას ახდენენო, მათაც მიჰყვეს ხელი ობსტრუქციებსა და დემონსტრაციებს—ათ უნივერსიტეტიან ქალაქში მოახდინეს დემონსტრაციები, რომლებითაც ზიზღს უცხადებდნენ ავსტრიის მთავრობას. ქუჩაში და მოედნებზე სწვავდნენ ავსტრიის ბაირაღებს. გალობდნენ მისს საწინააღმდეგო სიმღერებს. მთელი იტალიის ლიბერალური და პროგრესიული ჟურნალ-გაზეთები ავსტრიის წინააღმდეგ აყაყანდნენ. ერთი სიტყვით მთელი იტალიის ხალხი ზიზღს უცხადებდა და ჰკიცხავდა ავსტრიის; მთავრობის საქციელს. მან შეავიწროვა იტალიელი მოქალაქის მდგომარეობა ავსტრიაში, წაართვა ენა, ლიტერატურა, უსპობს კულტურას. ყველაფერი ეს ძალდატანებით ხდება: მინდა, თუ არა უსათუოდ ჩემს ენაზე ილაპარაკე და ჩემსავით იფიქრეო. და როგორც ძალ-მომრეობას, კიდეც შეებრძოლა იტალიის ხალხი. იტალიელები შვეიცარიაში და საფრანგეთშიაც-კი ცხოვრობენ, მაგრამ შვეიცარიის და საფრანგეთის მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია, წაერთმია იტალიელებისათვსს მოქალაქებრივი უფლება, ლაპარაკი და ფიქრი თავის მშობლიურ ენაზე.

ნარკვევი

ბალტიის მხარეში შემოღებულმა რეფორმებმა, გაზ. „Свѣтъ“-ის სიტყვით, ვერ გაარუსეს იქაური მცხოვრებლები. ამას წინად ქ. რეველის სასამართლოში ერთი საქმე გარჩეულა, სახელოსნო გამგეობაში ხელოსანთა შორის ჰომხდარ ჩხუბის შესახებ. მოწმეები ქ. რეველის ხელოსნები იყვნენ; მეჩექმეები, თერძები და სხვ. და ყველამ გამოაცხადა სამჯავროს წინაშე, ჩვენ გერმანელები ვართ და გვსურს ჩვენება გერმანულ ენაზე ჩამოგვართვათო.

—

„Сборн. Пермск. Земства“-ს მე-4-ე წიგნში საინტერესო ცნობებია მოყვანილი პერმის ერობისაგან მთავრობის წინაშე 1870 წლიდამ 1899 წლამდე აღძრულ შუამდგომლობათა შესახებ.

ამ დროს განმავლობაში ერობას 437 შუამდგომლობა აღუძრავს. ამ რიცხვიდან დაკმაყოფილებია მთავრობას—58. უარ უყვია—55 და 32 შუამდგომლობათა შესახებ გამოურკვეველი ხასიათის პასუხი იყო მიღებული. ამნაირად 437 შუამდგომლობათაგან მხოლოდ 145 შესახებ იყო მიღებული პასუხი, დანარჩენი-კი უყურადღებოდ დასტოვა მთავრობამ.

პერმის ერობისაგან აღძრული შუამდგომლობანი უმთავრესად შეეხებოდენ ხალხის განათლებას, გამოკვებას, მეურნეობის განვითარებას, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას, დარიბთა და უძლურთა მფარველობას.

შუამდგომლობათა აღძვრას ის აზრი ჰქონდა, რომ მთავრობას შეემსუბუქებინა 1890 წლის დებულების შემავიწროებელი წესები. გაემრავლებინა იმ პირთა რიცხვი, რომელნიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. ერობა სცდილობდა, გლეხთა, მემამულეთა და მოქალაქეთა წარმომადგენლობა ერობაში თანასწორი ყოფილიყო. მაგალითად ეკატერინბურგის ერობაში მემამულენი შეადგენენ მთელი რიცხვის 40 პროცენტს. მოქალაქენი—46 პროც. და გლეხები—14 პროც. ერობა სცდილობდა, რომ ადმინისტრაციისაგან ერობის დადგენილებათა კონტროლი გამორკვეულ საზღვრებში ყოფილიყო ჩაყენებული. ხალხის განათლების შესახებ შუამდგომლობას ის აზრი ჰქონდა, რომ საზოგადოებას ნება მისცემოდა, მეტი მონაწილეობა მიეღო ხალხის განათლების საქმეში. ერობის მრავალი შუამდგომლობანი შეეხებიან მოუსავლობასთან ბრძოლას, ეკონომიურად შევიწროებული ხალხის დახმარების სესხის გაცემით, გადასახადთა თანასწორი განაწილებით.

ერობას თავის შუამდგომლობაში ადგილობრივ საგლეხო დაწესებულებათა რეფორმის შესახებ ბევრჯელ გამოუთქვამს სურვილი, რომ მთავრობისაგან შემუშავებული პროექტები გადაეცეს ხოლმე ერობათ გასაცნობლად და ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროების მიხედვით გამოსარკვევად. ერობა ამტკიცებდა, რომ მთავრობა ვრცელ რეფორმათა გზას უნდა დაადგეს გლეხთა მიწის მფლობელობის გასაფართოებლად, მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სამკურნალო ნაწილის განსავითარებლად.

—

გაზ. „Одесск. Новост.“-ში შემდეგი სამწუხარო წერილია დაბეჭდილი:

ძვირფასო შვილო სიმონ! ცოცხალი თუ ხარ, ხმა გაგვეცი, შენ მოყვარულ მშობლებს, ნუ გეშინია შინ დაბრუნებისა, მშობლები სიყვარულით გელოდებიან შენ. ნუ სწუხარ, რომ ეგზამენი ვერ დაიჭირე. ვიცით, რომ მხატვრობისაკენაა მიქცეული შენი სული და გული, თანაგიგრძნობთ შენ და ვეცდებით, ხელი შეგიწყოთ ამ საქმეში; ოდესაში ცხოვრება თუ არ გსურს, საზღვარ გარედ გაგაგზავნით სასწავლებელში, სადაც შენი საყვარელი ძმა, სტუდენტი სწავლობს.

სადმე სხვა ქალაქში თუ ხარ; მოგვწერე დაუყოვნებლივ და მოვალთ შენ წამოსაყვანად; გაიხსენე შენი დები, რომელთაც შენ უყვარხარ და სტირიან შენთვის.

ნუ გვაწვალებ, დაბრუნდი ჩვენთან. გ. და ბ. რაშკოვსკები. ქ. ნიკოლაევი.

ანგარიში ქუთაისში გამართულ სეირნობისა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“ ქვემო აღნიშნულს ანგარიშს სეირნობისას, გამართულს ჩვენ მიერ, 4 ამ მაისს, ქალაქ ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კით. გაშ. საზ. სასარგებლოდ.

ფულად შემოსწირეს: თითო თუმანი თავ. ი. მელიქიშვილმა, თავ. ი. დადიანმა, ს. ფეიქაროვმა და ძმ. ოგანეზოვებმა, ქუთაისის ახალგაზრდა თავადებმა რაშლესიძემ ერთად—ორმოც-და ერთი მან., უარამან დათუშიძემ 9 მანეთი; ხუთ-ხუთი მან.: ზ. კოკოჩქვისამ, თინა გველესიანმა, ძმ. გოგიელოვებმა, იოსებ მატარაძემ, იაკობ ლორთქიფანიძემ და თავ. ჯ. დადეშქელიანმა; სამ-სამი მანეთი: ლ. კოკოჩაშვილმა, გ. კეშელავამ, ვართაპეტოვმა და კალანდარიშვილმა პ. პიდაროვმა, დეკ. ცაგარეიშვილმა, დეკ. ი. ჭეიშვილმა და ბ. მიქაძეშვილმა; ორ-ორი მანეთი: ა. ქიხჭარაძემ, ი. კირაკოზოვმა, ბ. მხეიდლემ, ა. მურადოვმა, ა. ყაზაროვმა, ზ. კოკოჩაშვილმა, ს. მხეიძემ და ივ. გველესიანმა. მანეთ-ნახევარი: ტ. გურგენიძემ და ი. კერესაძემ. თითო მანეთი: ა. კოსტავამ, ძმ. ცაგარელებმა, კირამბეკმა, დ. კეპატაძემ, რაფაელოვმა, ძმ. ოდანეზოვებმა, ბუტულაშვილმა, აიხლეროვმა, ასკილდიანმა, გოლოხმა, ქ. ასათიანმა, ბ. გაბუნიამ, ი. ოცხელმა, გრიქუროვმა, ი. ალიხეგოვმა, პ. ცერცვაძემ, ნ. კაკაბაძემ, კ. ვაჩეიშვილმა, ფ. გორგიძემ, ი. დემეტრაძემ, ლ. ბრეგაძემ, ვ. ცხომელიძემ, ი. ბურჭანაძემ, ნ. ჭიჭინაძემ, ი. ადახვერდოვმა, შ. თუთბერიძემ, ი. კვანტალიამ, გრ. ქორქაშვილმა, რ. ხათრიძემ, კ. ველიჩკომ და №—მა. სამი აბაზი ი. საყვარელიძემ. ათ-ათი შაური: ფ. კაცაძემ, გ. შავიანიძემ, ა. თოფურიძემ, ნ. ჭიშმარიანმა, ფიჩხაძემ, ი. ქაჩავიძემ, ი. ბუზუშვილმა, მეგრელიშვილმა, კ. ნიჟარაძემ, ა. ფიჩხაძემ, ბუხბინდერმა, ლ. ლორიამ, ნ. კიკაბიძემ, ნ. გერსამიამ, კ. პატარაიამ, ს. ბოკერიამ, ვ. რუხაძემ, კ. შენგელიამ, თ. ჭეიშვილმა, ა. მიქელაძემ, ა. ხოლორდავამ, მ. ხვინგიამ, ო. მეშედ-ოღლიმ, გ. თაგვარელიამ, შენგელიამ, გეგელაშვილმა, ლ. ჩიხლაძემ, ვ. ხვედელიძემ, ა. ალასანიამ, ი. ჩხეიძემ, ი. ბაქრაძემ, დეფხაძემ, ა. სირაძემ, ვ. კოსტავამ და №№—მა ორ-ორი აბაზი: რ. თარხნიშვილმა და პ. ფანჩულიძემ; ხუთ-ხუთი შაური: კ. ჭარხალაშვილმა და გრ. ოქრომჭედლოვმა; თითო აბაზი: მ. რიჟინაშვილმა, ლ. ბახტაძემ, ს. კალაძემ, კ. აბდალაძემ, მ. ქებილაძემ, ლ. გველესიანმა, მ. ქათამაძემ, ლ. რევიშვილმა, თ. კოსტავამ, ს. კაკალაძემ და რ. მოშიშვილმა; №-მა სამი შაური; ორ-ორი შაური: მ. თავდიდიშვილმა, ლ. მანაგაძემ, ი. ჯღარკავამ, ქ. ბოჭორიშვილმა, ი. კობახიძემ და ს. ნოდიამ; №-მა ერთი შაური, და სრულიად ფულად შემოსწირეს 213 მან. და 90 კაპ. ბაღში შესასვლელ ბილეთების გაყიდვიდგან შემოვიდა 315 მან. და 70 კაპ., ბუფეტიდგან. ყვავილების და კონფეტების გაყიდვიდგან—205 მ. და 50 კაპ., ვახშმობიდგან დარჩენილი სახოვაგე გაიყიდა—ხუთ მანეთად და სრულიად შემოვიდა--740 მ. და 10 კაპ.

დახარჯა: ფარდულისა და კარვების მოწყობაში, მარკებში, პაკეტში, სკამებისა და სხვა ჭურჭლების დაქირავებაში, განათებაში, მუსიკებში და ზურნაში, აფიშებისა და ბილეთების დაბეჭდვაში, მამპასხიურის და დვირიების უღელში და მუშების დაქირავებაში—225 მან. და 10 კაპ. ამ რიგად წმინდა მოგება დარჩა — 515 მანეთი.

გარდა ზემო აღნიშნულ პირთ, შემწეობა აღმოგვიჩინეს სახოვაგის შემოწირვით ბუფეტისათვის და სხვა საჭირო ნივთების თხოვებით, თუ ჩუქებით და აგრეთვე პირადის შრომის მიღებით სეირნობის დროს შემდეგ პირთ: კნ. ბ. დადეშკელიანისამ, კნ. ა. დადეშკელიანისამ, კნ. ც. ერისთავისამ, კნ მარია წულუკიძემ, კნ. კატო დადიანმა, ა. პეტრიაშვილისამ, კნ. თავდგირიძისამ, თ. ჯ. გურიელმა, ბ. კლდიაშვილმა, ფოთის პოლკის ადიუტანტმა თავ. ვაჩნაძემ, შ. ვარდოსანიძემ, შ. კაუსჩევმა, გიორგი ბაკერიამ, ვარ ბურჯასაძემ, გ. მოძღვრიამ, თ. მთავრეკმა. შ. ლორთქიფანიძემ, ბ. იოსელიანმა, გრ. ქორქაშვილმა, ბ. გველესიანმა, ბ. სუმბათაშვილმა, გ. ბეჟანიშვილმა, ძმ. აბჩანცებმა, ძმ. მელაშვილებმა, კ. ნიკოლაძემ, ი. გეგელაშვილმა, ა. ყარაბიშვილმა, გ. სადარაძემ, სტეფანე ფირალოვმა, ბ. ხაცარიანცმა, ი.

თავისუფლები დარჩებიან!.. „ნაქერალის“ ბარე ორმოცი კოდი შემოაქვს, გარეთ გასატანი რომ არ იყვეს, განა ახალ მოსავლამდის არ დაგვაპურებდა?.. ოღონდაც... სოფელს დიდი პირი აქვს, დედაკაცო!—ეტყოდა იმედიანად ნინიკა. ნატო გამხნევებით იღიმებოდა, თან განაგრძობდა გულმოდგინედ ქათმის წიწკნას, შემდეგ შეჩერდა, მიმოიხედა და დაკვირვებით თვალი გადაავლო თავის პატარა ოთახს, რომელიც ორივ მხრივ ჩატახტულიყო, იქვე დადგმულ კიდობას ამშვენებდა ხელით ნაქარგი თეთრი სუფრა, პრიალა ყვავილებით აჭრელებული სკივრი ხომ, შიგ თვალში უყვარდებოდა შემომსვლელს.

ნატომ განგებ აალაგა, რომ კარგად გაეჩხრიკათ მისი ნამზითვი. სპილენძის თუნგი და ტასტი კუთხეში ცალკე ბჭყვინავდნენ. ნატომ ერთხელ კიდევ გადახედა ყველა ამათ...

— სხვებს ხომ ესეც არა აქვთ!. ღმერთი მოწყალეა!. შიოაანთ თებრონია გულზე შურით ასკდება და შემომნატრის... ფიქრობდა ნატო. ამასობაში კიდევაც დაამხადა ქათამი და ჩასდო ქვაბში მოსახარშად. ლობიოსაც დაუწყო კმაზვა. ოთახში შემოვარდა ამის უფროსი შვილი, პატარა ლექსო და, რა რომ ცხვირში ქათმის სუნი ეცა, რავდენჯერმე სიამოვნებით შეისუნთქა და თავის ქნევით აღტაცებულმა შესძახა:

— ბიჭოს!.. დღეს აღდგომაა!. აღდგომა!. იფ! რა სადილი გვაქვს!..

— დიახ, რა საკვირველია!.. რომელი ნაჭერი გნებავს?. ფრთა, თუ საწიწკარა?.. დამცინავის ღიმილით შეეკითხა ნატო.

— რაიყო მერე!.. მა რითვინა ხარშავ, ფუ კი არ გვაჭმევ ჰა?..

— ბატონისთვის.. მოკლეთ უპასუხა დედამ.

— შენიჭირიმე, დედი, პური მაიც მაჭამე, ძაან მშიან ლამის წავიქცე; შეეხვეწა ლექსო, მივიდა ქვაბთან, საიდანაც ოხშივარი ამოდიოდა. ნატოს შეეცოდა შვილი, საჩქაროდ დაუსხა ჯამზე ლობიო, ქვაბიდგან ამოუღო ქათმის თავ-ფეხი, კუჭი, ღვიძლი, მოუტეხა მჭადი, მიიყვანა კუთხეში და მოაკეცინა.

— ფრთხილად ჭამე, არ დაღვარო, არ გასვარო აქაობა, თორემ მზეს დაგიბნელებ... ჭამე დროიანად და სახნავშიაც ჯერი წაიღე! გიშველოს ღმერთმა, რო მოხვედი და ეხლა მე იქ აღარ ამომათრიე. დაუმატა ნატომ თანგრძნობით.

III

ნინიკა მიდიოდა კანცელარიისკენ, რომელიც კარგა მოშორებით იყო და თითქმის მთელი სოფელი უნდა გაევლო. ეს მიეჩქარებოდა, ყურს არ უგდებდა, თუ მის გარშემო რა ხდებოდა. გაზაფხულის მზე უხვადა ჰფენდა არემარეს თავის სხივებს. მომხიბვლელ ველ-მინდვრებიდგან მოსისინებდა ნიავი, ნაწყვეტ ნაწყვეტად მოჰქონდა გუთნის დედისაგან შემოძახილი. ბუნება შესდგომოდა შრომას, ნინიკას გულიც ბაგაბუგით თანაუგრძნობდა მას. აგერა კანცელარიის წინ მოუყრია ხალხს თავი და ლაპარაკობენ. აივანზე იდგა გამმიჯვნელი, მას გარს შემოხვეოდნენ კაბა-ყურთ მაჯებიანი, ჩოხოსანი მებატონეები, აღარ აცლიდნენ ერთმანეთს და ხმა მაღლა ეკამათებოდნენ მასახლისს, რომელიც ქუდ მოხდილი იქვე იდგა. ნინიკამაც ქუდი მოიხადა და გაერია გლეხ-კაცებში; ამათ აერჩიათ ერთი მხარე და თავშიშველები, ჯოხებზე დაყრდნობილები, უსმენდნენ მოლაპარაკეთ.

— ბევრი ჯიჯინი რა საჭიროა! შენ მამასახლისო, ხვალინდელ დღიდგან ყოველ დღე სამი-ოთხი ბიჭი უნდა მადევნო ხოლმე ბარნიჩბებით და გარდა ამისა, ვისაც მამული აქვს ამ სოფელში ყველა უნდა დაესწროს გამიჯვნას, დინჯად დაილაპარაკა ივან პეტროვიჩმა, ჯერ დაახამხამა ქუთუთოები და შემდეგ თვალი მოავლო იქმყოფთ.

— ბიჭოს! ძაან ქართული ცოდნია!.. ეს კაი საქმეა ჩვენთვის, გავაგებინებთ რასმეს მაინც... იფიქრა ნინიკამ და შვებით ამოისუნთქა.

— ბატონო, შენი ჭირიმე, ვისაც ნასყიდობა გვაქვს, ისიც უნდა დაიყოლონოს? იკითხა ბოლოს ამან მოკრძალებით.

— ნასყიდობაა, თუ ნაჩუქარი, ყველა ერთნაირად უნდა დაიყოლონოს, მოისმა პასუხი.

— ჰი! ჰი! ჰი!.. სწორედ ძალა წაიღო ამათმა ერთმა და იმავე კითხვამ... ვეჲო, აქამდის რით ვერ გაიგეთ, რო ყველა მამული ერთნაირად უნდა დაიყოლონოს!.. შესძახა უკმაყოფილოდ იასონმა და სახეზე დამცინავი ღიმილი აღუჩნდა. გლეხებს ამ სიტყვების გაგონებაზე მოწყენა დაეტყოთ. გამმიჯვნელმა გაშალა რუქა და დაიწყო თვალიერება.

— შარშან დამიგვია და და მარტო სამზღვრის შემოვლას მოუნდით. ეხლა უნდა დავიწყოთ აღმოსავლეთიდგან და იქით, ვისაც გაქვთ მამული, მოდით!.. მე ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის და ახლა კი თავისუფლები ხართ... გლეხებმა თავი დაუკრეს და წავიდ-წამოვიდნენ გარდა რავდენისამე ხანში შესულის გლეხისა, რომელნიც აქვე ყურყუტებდნენ, თითქო რაღასაც ელოდნენ.

— ტყუილია, ახლა ვერას გავხდებით კაცო, ხვალ უფრო ჩავიგდებთ დროს. წასჩურჩულა ერთმა მეორეს.

— სანამ თავადები არ შემოეცლებიან, ვინ რას გვათქმევინებს? სხვებიც დაეთანხმნენ ამ სიტყვებზე და ესენიც დაიშალნენ. ამათ წასვლაზე მებატონეები უფრო გათამამდნენ, ყველაზე მეტი მოუთმენლობა ეტყობოდა იასონს, რომელსაც კიდევაც მოშივნოდა, მაგრამ არ უნდოდა, სხვებზედ ადრე წასულიყო.

— აბა, ყმაწვილებო, ეხლა კი დროა სადილის თავდარიგს შეუდგეთ!.. ივან პეტროვიჩ! დღეს ისეთი გოჭი მაქვს ცივად და იხვები ფქვილში შემწვარი, რომ სულ თითებს დაიკვნეტავთ! წარმოსთქვა პავლე ხარაელაშვილმა ქშენით, რადგან კარგა ჩასუქებულიყო და ყელში მობჯენილი ქონი ნებას არ აძლევდა, რომ გაბმით, თავისუფლად ელაპარაკნა. მეტად ზორბა რამ იყო თავადი პავლე. ის რომ ჩასისხლიანებულ თვალებს გადაატრიალებდა, კბილებს გააკრაჭუნებდა, მუშტებს მოუჭერდა, მაშინ ვის ბიჭი დაუდგებოდა წინ!..

— მამა ჩემისაგან გამიგონია, რომ ჩვენ თურმე ამ იასონის ჩამომავლები ვართ!.. იტყოდა თავმოწონებით პავლე, როდესაც ვინმე შეუქებდა ახოვანებას. აქ ჟამად აქ მყოფნი დიდი ხანია მოელოდნენ პავლესგან მიპატიჟებას, რადგან გულუხვი პავლე, რა პავლე იქნებოდა, რომ აქ სოფელში მოსული სტუმარი თავის სახლს გარეთ დაეტოვებინა და მასთან ერთად არ შეექეიფნა სავსე ჯიხვით ხელში მამა-პაპური „მრავალ ჟამიერი“.

— ჰა, ივან პეტროვიჩ!.. შემწვარ გოჭზე რას იტყვით?.. განუმეორა ხელ-ახლად პავლემ და ხუმრობით ხელი დაჰკრა ბეჭებზე.. ივან პეტროვიჩმა კმაყოფილებით დაახამხამა თვალები და თანხმობის ნიშნად, პირ მი ნერწყვ-მორეულმა, თავი დაუკრა.

— ნეტა ეხლა რომელი საათია?.. იკითხა ამ დროს მოთმინებიდგან გამოსულმა იასონმა, რომელსაც გული მოსდიოდა. ამისი დაცალიერებული მუცელი დიდი ხანია მოსჭუჭყუნებდა, აქა ვართო. მაღალ-მაღალი, გამხდარი ჩოხოსანი, რომელსაც კისერი შეხვეული ჰქონდა ჭრელ აბრეშუმის ხელსახოცით, ულვაშებ ქვეშ მაცდურად იღიმებოდა.

— მესამე დაიწყო, ბატონებო! წარმოსთქვა ამან ტკეპნით, როდესაც ჩახედა თავის ოქროს საათს.

— ბიჭოს! ბიჭოს! სანამ მივალთ, სანამ დავსხდებით, გათავდება კიდეც.

— აბა, მობრძანდით რაღა!.. შესძახა პავლემ. იქ მყოფნი სიამოვნებით დათანხმდნენ და გაჰყვნენ მასპინძელს.

IV

თავადი პავლეს სახლი მეტად ლამაზ და თვალ-საჩინ ადგილზე იყო გაშენებული და მთელს სოფელს თითქმის თავს დაჰყურებდა. ამის გარდა მებატონე ამ სოფელში არავინ სცხოვრობდა და ახლო-მახლო მეზობლებიც ბევრად უკან იყვნენ ჩამორჩენილნი შეძლებით. ორას-სამასი თუმანი შემოსავალი მამულიდგან, უშვილ-უძირო თავადს არ გაუჭირებდა და ნებას აძლევდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებანი.

— აბა, ჩემო დასახლისო, სადილი მზათა გაქვს, თუ ჯერ ვერა? ჰკითხა პავლემ თავის მეუღლეს, კნინა თებრონის, ლეჩაქ-ყურ გადმოდებული, პირზე ფერ უმარილ შეხებულ გამოსავარდნიყო აივანზე და რაღაცას დაკავებით მისჩერებოდა.

— რა იყო? ძალიან მოგშივდა? ჰკითხა ამან ღიმილით, რადგანაც პავლე მიუახლოვდა და [illegible].

— ძალიან. ხუმრობა კი არ არის ძალი, სამი საათი. ყმაწვილები მოდიან სადილზე აბა გეთაყვა, რიგიანად მოუარე ყველაფერი. მამიდა სადღაა?

— სამზარეულოში, უპასუხა თებრონიმ და გამართა ქმრის ბრძანების ასასრულებლად. პავლე მეღიმარე ავიდა კიბეზე და [illegible] იქვე კიდეთან დადგმულ ტახტზე.

— მობრძანდით, ბატონებო, სადილიც მალე იქნება! იასონმა წაიღო შეიქრა, როდესაც დაინახა, რომ ჯერ სუფრა არ გაეშალათ და ამას-გა მეუღლე სამზარეულოს [illegible].

— აქამდის ხომ ნინიკასთან [illegible] შესვლის? იქ ვისაუბრეთ და ეს სადილიც [illegible] ფიქრობდა იასონი. მაგრამ, როდესაც თვალ-წინ [illegible] ფქვილში შემწვარი ინდოური და გოჭი [illegible] და შემოიტანეს [illegible] ხელიდგან გამბი-

ანჯაფარიძემ, ბ. ლეჟავამ, ბ. მუნჯიაშვილმა, ბ. შავერზოვმა, პ. ჩილინგაროვმა, ძმ. ფეიქრობებმა, ბ. ხაინდრავამ, ს. სანიკიძემ, ვ. გობაჩაძემ, ძმ. არჯევანიძეებმა, გრ. არჯევანიძემ, ვ. ბუტულაშვილმა, პ. კოკაჩევმა, იასონ გორგოძემ, ს. კანდელაკმა, ი. ბეგოვმა, ვ. ფურცელაძემ, ვ. ქაშიბაძემ, პ. ჩხეიძემ, ძმ. საბაევის და ფილიპოვის მაღაზიამ და მათმა ნოქარმა გიორგი ჩაკვეტაძემ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ყველა ზემორე აღნიშნულ პირთ იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოგვიცხადეს სხვა-და-სხვა გზით ჩვენთვის ძვირფასს საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობის დროს.

უმორჩილესად ვსთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებსაც ადგილი მისცენ თავიანთ გაზეთის ფურცლებზედ ამ ანგარიშს, შემოკლებულად, რასაკვირველია.

სალამოს გამგე კნ. ოლღა იოანეს ასული წულუკიძისა.

დამხმარენი:
- კნ. ციცინო ერისთავისა,
- კნ. ფედოსია თავდგირიძე,
- ქ-ნი მელანია გველესიანისა,
- რაჟდენ დათეშიძე,
- ალექსანდრე კრინიცკი და
- რაჟდენ კანდელაკი.

„ივერიის“ ფოსტა

ს. აბაშა გუთნის დედას. თქვენი წერილი „გამოძახილი დასავლეთ საქართველოდამ“ არ დაიბეჭდება.

ს. თ—ლს. თქვენი ამას წინედ გამოგზავნილი ამბავი არ დაიბეჭდება ,,ალავერდობა“-კი დაიბეჭდება.

ზ. ჩ—ძეს. თქვენი წერილი ,,ალავერდის ტაძარი და წმ. ქეთევან დედოფალი იყო ,,ივერიაში“ 1893 წ. მარტში, № 51.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 მაისი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია შეცვლილი წესები საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ რკინის გზებზე.

სტამბოლი. როგორც პორტა იტყობინება, პარასკევს, სალონიკის მახლობლად, გრიდობურგში მოუკლავთ 15 კაცი.

დონის-როსტოვი. გუშინ ჩუმაკოვის გემი „მოსკოვი“ სასეირნოდ გავიდა როსტოვიდან. გემი აზოვის ნავთსადგურს მიადგა. გემიდან გადმოსვლის დროს რამდენიმე პასაჟირი ჩაცვივდნენ წყალში.

ტოკიო. 1 ივნისს აქ ელიან სამხედრო მინისტრს, სადაც დაჰყოფს სამს დღეს.

სოფია. დღეს მოხდა ყრილობა მაკედონელთ სასარგებლოდ. მიხაილოვსკი თხოულობს დაუცადოთ, რა ამბავს მოიტანს ნანჩევიჩიო.

ვლადივოსტოკი. გაზეთ. „ვოსტ. ვესტ.-“ში დაბეჭდილია: აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ნაწილებში დადიან ყაჩაღები, რომლებიც ძარცვავენ მცხოვრებლებს. თუმცა ჯერ რკინის გზის მოსამსახურეოჩას არ დასცემიან, მაგრამ შემდეგში მოსალოდნელია ასეთი ამბები. ჩინეთის მთავრობა გაჩერებულია. სამხედრო მინისტრი 24 მაისს კრეისერ „ასკოლდით“ დაბრუნდა ნიკოლაევსკიდან.

კალუგა. სოფელ ლიუტოვში ჩაჰყარეს, ალექსანდრე მეორის ძეგლის საძირკველი, რომელსაც გლეხები თავის ხარჯით აგებენ.

ეტატერიეოსლავი. პროფესორ ზვარნიცკიმ ნოვომისკოვის მაზრაში, ილიაშენკოს მამულში, მეფის ძველი სასაფლაო აღმოაჩინა. ნახეს მიწაში ეტლი, დიდი სპილენძის ჭურჭელი, ოცამდე ოქროს მორთულობა, ვერცხლის სასმისი და ერთი დიდი ბრინჯაოს სარკე.

პარიჟი. პალატა. დეპუტატი ეტიენი თანაგრძობას უცხადებს „ლიბანის“ გემზე დაღუპულთა მოკეთეებს. კომბო აცხადებს, რომ უბედურების მიზეზი ჯერ არ ვიცითო. დაღუპულთა სახლობას მთავრობაც დაეხმარება.

ბენი-უნიფი. ქალაქს თოფი დაუშინეს. 600 ყუმბარა გაუსროლიათ. ბრძოლაში 2500 კაცი ღებულობდა მონაწილეობას.

ვაშინგტონი. სამხრეთ-ატლანტიის ესკადრამ ბრძანება მიიღო ვალპარაიოსში ამბოხების დასაცხროპლად.

28 მაისს.

სტამბოლი. აშრეტის სპეციალურ სასწავლებლის მოწაფეთა შორის სისხლის ღვრა მოჰხდა. მოწაფენი გაემართნენ ილდიზ-კიოსკში საჩივლელად, მაგრამ შეაჩერეს და დააბრუნეს სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ არის.

სან-ლუი. წყალმა იკლო. 20 კაცი დაიღუპა. ილინოისის გარემოთა შორის ამ ჟამად ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

ბიისკი. გაემართა გობის უდაბნოს, ტიბეტს. ჩინეთს და იაპონიას ჰაგენბეკის გირშის წარმომადგენელი ვახე ნადირ პირუტყვთა სასყიდლად. ექსპედიციას ფიქრად აქვს დაჰყოს მგზავრობაში ოთხნახევარი წელიწადი.

დონის-როსტოვი. გემი „მოსკოვი“, რომლითაც სასეირნოდ წავიდა ხალხი, ეკუთვნის დონისა, აზოვის და შავის ნაოსნობის საზოგადოებას. ნაშუადღევის პირველ საათზე გემი მიუახლოვდა აზოვის კიდეს, სადაც მ ავალი ხალხი ელოდა გემის მოსვლას; ამ ხალხმა მოისურვა გემზე ასვლა და მიაწყდა ფიცრის ბაქანს, სადაც გამოვიდნენ გემიდან აგრეთვე ზოგიერთნი მგზავრნი, ბაქანი ჩაიზნიქა შუა გულსა და ჩატყდა. მრავალი ხალხი ჩაცვივდა წყალში; საშინელი სანახაობა იყო; ბევრნი გაადარჩინეს; სამ საათამდის 12 დამხრჩვალი ამოიღეს; ჰფიქრობენ, რომ დამხრჩვალთა რიცხვი მეტია. მომეტებულად დაზარალდნენ აზოველები, მათ შორის ბავშვები ბლომად იყვნენ. უბედურების ალაგას წყლის სიღრმე 5 საჟენია. ბაქანი ქალაქისაა, ძალზე დაძველებული.

მინსკი. შაველის გიმნაზიამ გამართა მოსწავლეთა ექსკურსია: 36 მართლ-მადიდებელთა მოსწავლე სამღთო სჯულის მასწავლებლის წინამძღოლობით წავიდა კიევს წმინდა ადგილების თაყვანის საცემლად. 27 მაისს მათ მიეგება ვილენის საიოსწავლო ოლქის მზრუნველი.

სოფია. „ბულგარიის დეპეშათა სააგენტო“ აცხადებს, რომ ის ამბავი ვითომც 1200 კაცისაგან შემდგარი ჯუფთი გადავიდა მაკედონიის საზღვარი ჯუმაიის ახლო,—უსაფუძვლოა. მას აქეთ რაც ბულგარებმა სასტიკი ღონისძიება მიიღეს, ამოდენა ხალხისაგან საზღვრის გადასვლა ყოვლად შეუძლებელია.

პეტერბურგი. სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოზს ანანიას არაზასპიანცს უუმოწყალესად ებრძანა შირვანის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსად ყოფნა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	$5-6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98,/$_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^7/_8$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$432^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$284^3/_4$ წვ, გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90 /$_4$ გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$91^3/_4$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, " " "	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	3425 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	182 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

31 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. მამედ ეფენდი მჟავანაძისა და იაკოფ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ხაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.

3 ივნისისათვის

1, არსენ კობახიძისა და ტრიფონ გურკენის ძის საქმე.
2, დიმიტრი ანდღულაძისა და ნილოს გუგუნავას საქმე.
3. გუსარია ირემაძისა და მინა და პელაგია ავალიანების საქმე.
4, თებრონ რომანოვის, გიორგი საგინოვის და გეურ1 მიტუზოვის საქმე.
5, ნიკოლოზ ისაკაძისა და ალექს ადრე ქუთათელაძის საქმე.
6, ივანე ბედალოვის, ფრიდონ გოდაბრელიძისა და ანტონ აბანგიძის საქმე.

ცლოდა ეს ფას დაუდებელი სიამოვნება, შიშის ჟრუანტელმა დაუარა ტანში და თავისი მოკლე ფეხები მაგრა დააბჯინა იატაკზე, რომ არ დაძრულიყო ადგილიდგან და ნიადაგი არ გამოსცლოდა. ეს უსიამოვნო ფიქრები გაჰფანტა ბიჭმა, რომელმაც დაუწყო მაგიდაზე სუფრას შლა. წუთს ყველაფერი დააწყო, რაც-კი საჭირო იყო, იქ მყოფნი გაშტერებულები შეჰყურებდნენ ხელში მოუთმენლად.

— აბა, ბატონებო, მობრძანდით! დაიძახა პავლემ, როდესაც დაინახა მოტანილი გოჭი. მალე ყველანი შემოუსხდნენ სუფრას. კნეინა თებრონიაა გამოიჭიმა თავში და თავის გვერდით ადგილი უთავაზა ივან პეტროვიჩს. ყველანი ხარბად შეუდგნენ სადილის ჭამას.

— ძალუა ეფემია სადა ბრძანდება? ჰკითხა იასონმა და თანაც საჩქაროდ პირი გამოიტენა.

— სამზარეულოშია, ეხლავე გიახლებათ!.. უპასუხა თვალების ჟუტვით თებრონიამ. კნეინა ბევრად ახალ-გაზრდა მოსჩანდა თავის ქმარზე; სისრულეში არც ეს ჩამოუვარდებოდა. ამისი ჟუჟუნა თვალები მომხიბვლელად იყურებოდნენ წარბებ ქვეშიდგან, სურათი თხელი ცხვირი და წითელი მომსხო ტუჩები თითქო ამჟღავნებდნენ მასში ფარულ მომეტებულ ვნებას. ეს მუდამ ალერსიანად და მორჩილებით შეჰყურებდა თავის მეუღლეს და ამისთვის ყოველივე მისი სიტყვა და ქცევა წმიდათა წმიდა იყო. არც პავლე ეპყრობოდა ურიგოდ; ყოველთვის კარგად აცმევდა, ხალხში დაჰყავდა, ამათი ცხოვრება აუმღვრევლად მიდიოდა.

— ააა! ეფემიას ვახლავართ!.. შესძახეს ამ დროს ერთხმად, როდესაც ოთახიდგან გამოვიდა შუა-ხნის ქალი, შავ კაბაში მოსილი. იმანაც თავი დაუკრა ყველას და გადავიდა თებრონიასკენ.

— უბედურობაი და ამოწყვეტაი ი კრუხებსა ქა!.. დაიწყო ეფემიამ.

— ყმაწვილო, ეხლა წიწილის ჩეკვის დროა და, თუ ადამიანი ეხლა იქ არ არის, სულ ფეხით ჩისრესენ. სულია შეწუხებული, სწორედ სული!.. ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან, გენაცვალეთ!.. დაუმატა ეფემიამ, ამოიღო ხელსახოცი და მოიწმინდა სახეზე ოფლი.

— დღეს მამიდა ეფემიას მადლობელი უნდა ვიყვნენ, რომ ამისთანა გემრიელ გოჭსა და იხვებს მივირთმევთ. დიდი ამაგი მიუძღვის. წამოიძახა პავლემ. ეფემიამ კმაყოფილებით ჩაიცინა და ტუჩებზე თითი მიიდო.

ვიიშ, რას ამბობ, ჩემო ძმისწულო, რის ჩემი?.. რა პასუხია? უღვთოთ არც არა გაიზრდებარა და არც არა გაკეთდებარა. დაუმატა მან, ¿ თანაც ამისი თვალები ვედრებით აიმართნენ მაღლა ზეცისკენ.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს მამიდა ეფემია! ხელი მოუმართოს ამ საქმეში და ჩვენც ხშირად გაგვიმასპინძლდეს, ურა!.. დაიძახა იასონმა, რომელსაც უკვე თავში ასვლოდა ნუნუა და თვალებს აპრიალებდა, გაწითლებულ ცხვირს მალ-მალ იხოცავდა დაჩითულ სახოცით. სადილი კარგა ხანს გაიჭიმა, ღვინოც ბლომად დაილია, გახალისებულმა პავლემ ჯამიც მოითხოვა, მაგრამ ივან პეტროვიჩმა ხელით გააბრუნა გალიცლიცებული ჯამი და წამოდგა ზეზე.

— არა, პავლე, დღეისთვის კმარა! ბევრი საქმეები გაქვს... უთხრა მან. იქ მყოფთაც ხათრი არ გაუტეხეს სტუმარს და ყველანი წამოიშალნენ სუფრიდგან.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

განცხადება

ქირავდება

რვა ოთახი

წყლით, ბაღით, კუხნით და სარაით, ვერაზედ, ოლგინსკის ქუჩაზედ, წილოსნის სახლებში, № 46.

(1—130—1)



Парфюмерія
„Нильская лилія"
духи, мыло, пудра и цвѣточный о-де-колонъ
Т-во А. Ралле и К°.
НИЛЬСКАЯ ЛИЛІЯ

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ლაბარატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—22)

ახალი წიგნები
გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკია	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,
აბრამის და იოგბის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტექ ძლევამოსილი
ჰენრიკ სენკევიჩისა
IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მწამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—29)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი